

## ფასიკ-ის ინტერპრეტაცია 22

### ოპერაციები უცხოურ ვალუტაში და ანაზღაურება ავანსად

#### წყაროები

- ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები.<sup>1</sup>
- ბასს 8 - „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“.
- ბასს 21 - „უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები“.

#### ამოსავალი ინფორმაცია

1. ბასს 21-ის - „უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები“ - 21-ე პუნქტი მოითხოვს, რომ საწარმომ უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველად ასახოს სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ უნდა გამოიყენოს ოპერაციის თარიღისთვის სამუშაო ვალუტისა და ამ უცხოური ვალუტის გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი. ბასს 21-ის 22-ე პუნქტში აღნიშნულია, რომ ოპერაციის თარიღად მიიჩნევა თარიღი, როდესაც ოპერაცია პირველად დააკმაყოფილებს აღიარების კრიტერიუმებს, ფასს სტანდარტების შესაბამისად.
2. როდესაც საწარმო ავანსად იხდის ან იღებს ანაზღაურებას უცხოური ვალუტით, საზოგადოდ, ის ჯერ აღიარებს არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას<sup>2</sup> შესაბამისი აქტივის, ხარჯისა თუ შემოსავლის აღიარებამდე. შესაბამისი აქტივი, ხარჯი ან შემოსავალი (ან მისი ნაწილი) არის თანხა, რომელიც აღიარდება შესაფერისი სტანდარტების გამოყენებით, რაც იწვევს ავანსად ანაზღაურების შედეგად წარმოქმნილი არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების აღიარების შეწყვეტას.
3. ფასს-ების ინტერპრეტაციების კომიტეტმა (ინტერპრეტაციების კომიტეტი) თავდაპირველად მიიღო შეკითხვა იმის თაობაზე, როგორ უნდა დაედგინათ „ოპერაციის თარიღი“ ბასს 21-22 პუნქტების გამოყენებისას, როდესაც ამონაგებს აღიარებდნენ. შეკითხვაში კონკრეტულად განხილული იყო ისეთი სიტუაცია, როდესაც საწარმო აღიარებს ავანსად მიღებული ანაზღაურების შედეგად წარმოქმნილ არაფულად ვალდებულებას მანამ, სანამ აღიარებს შესაბამის ამონაგებს. ამ საკითხის განხილვისას, ინტერპრეტაციების კომიტეტმა აღნიშნა, რომ უცხოური ვალუტით ავანსად ანაზღაურების მიღება ან გადახდა არ მოიცავს მართლ ამონაგების ოპერაციებს. შესაბამისად, ინტერპრეტაციების კომიტეტმა გადაწყვიტა, უფრო ნათელი გაეხადა ოპერაციის თარიღი იმ სავალუტო კურსის დასადგენად, რომელიც გამოიყენება შესაბამისი აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის თავდაპირველი აღიარებისას იმ შემთხვევაში, თუ საწარმომ ავანსად მიიღო ან გადაიხადა ანაზღაურება უცხოური ვალუტით.

1. მითითება ეხება 2010 წელს გამოცემულ ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებს, რომელიც ძალაში იყო ამ ინტერპრეტაციის შემუშავების დროს.
2. მაგალითად, ფასს 15-ის - „ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ - 106-ე პუნქტი მოითხოვს, რომ თუ მომხმარებელი ანაზღაურებას იხდის, ან საწარმოს აქვს ანაზღაურების თანხაზე უპირობო უფლება (ე.ი. წარმოადგენს მოთხოვნას) მანამ, სანამ საწარმო საკონელს ან მომსახურებას გადასცემს მომხმარებელს, საწარმომ ეს ხელშეკრულება უნდა წარადგინოს, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულება, როდესაც გადახდა განხორციელდება, ან ანაზღაურების გადახდის ვადა დადგება (რომელიც უფრო ადრე მოხდება ამ მოვლენებიდან).

## მოქმედების სფერო

---

4. წინამდებარე ინტერპრეტაცია ეხება უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციას (ან მის ნაწილს), როდესაც საწარმო ანაზღაურების ავანსად გადახდის, ან მიღების შედეგად წარმოქმნილ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას მანამდე აღიარებს, სანამ აღიარებს შესაბამის აქტივს, ხარჯს ან შემოსავალს (ან მის ნაწილს).
5. მოცემული ინტერპრეტაცია არ ეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც საწარმო თავდაპირველი აღიარებისას შესაბამის აქტივს, ხარჯს ან შემოსავალს აფასებს:
  - ა) რეალური ღირებულებით; ან
  - ბ) გადახდილი ან მიღებული ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც განსაზღვრული არ არის ავანსად ანაზღაურების შედეგად წარმოქმნილი არაფულადი აქტივის, ან არაფულადი ვალდებულების თავდაპირველი აღიარების თარიღისთვის (მაგალითად, გუდვილის შეფასება ფასს 3-ის - „საწარმოთა გაერთიანება“ - შესაბამისად).
6. საწარმოს არ ევალუა წინამდებარე ინტერპრეტაციის გამოყენება:
  - ა) მოგებიდან გადასახადების მიმართ; ან
  - ბ) სადაზღვევო ხელშეკრულებებთან მიმართებით (მათ შორის, გადაზღვევის ხელშეკრულებებისთვის), რომლებსაც თვითონ დებს (როგორც მზღვეველი), ან გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის, რომლებსაც ფლობს (როგორც გადამზღვეველი).

## განსახილველი საკითხი

---

7. წინამდებარე ინტერპრეტაციაში განხილულია, როგორ განისაზღვრება ოპერაციის თარიღი იმ სავალუტო კურსის დასადგენად, რომელიც გამოიყენება შესაბამისი აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველი აღიარებისას, უცხოური ვალუტით ანაზღაურების ავანსად გადახდის ან მიღების შედეგად წარმოქმნილი არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას.

## კონსენსუსი

---

8. ბასს 21-ის 21-22 პუნქტების გამოყენებისას იმ სავალუტო კურსის დასადგენად, რომელიც გამოიყენება შესაბამისი აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველი აღიარებისას, ოპერაციის თარიღად მიიჩნევა თარიღი, როდესაც საწარმო თავდაპირველად აღიარებს საავანსო ანაზღაურების გადახდის, ან მიღების შედეგად წარმოქმნილ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას.
9. თუ ავანსად გადახდის ან მიღების ბევრი შემთხვევა არსებობს, საწარმომ ოპერაციის თარიღი ცალ-ცალკე უნდა დაადგინოს თითოეული გადახდილი ან მიღებული საავანსო ანაზღაურებისთვის.

## დანართი ა ძალაში შესვლის თარიღი და მოცემულ ინტერპრეტაციაზე გადასვლა

წინამდებარე დანართი ფასიკ 22-ის განყოფილი ნაწილია და ისეთივე ძალა აქვს, რაც ფასიკ 22-ის სხვა ნაწილებს.

### ძალაში შესვლის თარიღი

ა1. საწარმომ წინამდებარე ინტერპრეტაცია უნდა გამოიყენოს 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ნებადართულია ინტერპრეტაციის ვადაზე ადრე გამოყენება. თუ საწარმო ამ ინტერპრეტაციას გამოიყენებს 2018 წლის 1 იანვრამდე დაწყებული წლიური პერიოდისთვის, მან ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს ეს ფაქტი.

### გადასვლა

ა2. პირველად გამოყენებისას საწარმომ ეს ინტერპრეტაცია უნდა გამოიყენოს:

- ა) რეტროსპექტულად, ბასს 8-ის - „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“- შესაბამისად; ან
- ბ) პერსპექტიულად ყველა აქტივის, ხარჯისა და შემოსავლის მიმართ, რომელიც განეკუთვნება ამ ინტერპრეტაციის მოქმედების სფეროს და თავდაპირველად აღიარებული იყო რომელიმე შემდეგი თარიღისთვის ან მის შემდეგ:
  - (i) იმ საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისი, როდესაც საწარმო პირველად იყენებს მოცემულ ინტერპრეტაციას; ან
  - (ii) წინა საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისი, რომელიც წარდგენილია როგორც შესადარისი ინფორმაცია იმ საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც საწარმო პირველად იყენებს მოცემულ ინტერპრეტაციას.

ა3. საწარმო, რომელიც ა2(ბ) პუნქტს იყენებს, ამ ინტერპრეტაციის პირველად გამოყენებისას ინტერპრეტაციას იყენებს იმ აქტივების, ხარჯებისა და შემოსავლის მიმართ, რომელიც თავდაპირველად აღიარებული იყო ა2(ბ)(i) ან (ii) პუნქტში მითითებული საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში ან მის შემდეგ და რომელთან მიმართებაშიც საწარმომ აღიარა ამ თარიღამდე განხორციელებული საავანსო ანაზღაურების შედეგად წარმოქმნილი არაფულადი აქტივები ან არაფულადი ვალდებულებები.